F 75
1914

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საუმაწვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

1914 თებერვალი № 3

ნაკადული

F 75/1914

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი IX. № 3. თებერვალი, 1914 წ.

F 240

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავი ვისი კუდია?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი:

I — ნეტავი ვისი კუდია? — სურათი 1

II — კეკეს სიზმარი, — დექსი არ. ფანცულაისი. . . 3

III — ქურდი, — გიოსი 5

IV — ჭკუის კოლოფი, — (არაკი) ა. ახოსპირელისა. . . 12

V — ძილის დროა, — (თარგმანი) ედ. ანტონოვსკისა . . 15

VI — გველები, — ივ. როსტომაშვილისა. 19

VII — გასართობი: რებუსი და აღსნა. 24

ტფილისი, ელექტ.-მბეჭდ. ა. ქერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კეკეს სიზმარი.

ანწა კეკემ ერთ საღამოს
ლოცვით გული მოიჯერა;
ზეცისაკენ გაიხედა
და ჰირჯვარი გადიწერა.

უფალს ასე შეევედრა:
„გთხოვ მხოლოდ ეს მისმინო,
ფრთა შემასხი, რომ ჩიტივით
მაღლა ცაში ვიფრინო.“

შემდეგ მიწვა, მიეძინა
და სიზმარი ნახა ტკბილი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითომ, ვით ჩიტს, ფრთა შესხმია,
ბუმბული აქვს ტანზე რბილი.

კეკეს ძლიერ გაეხარდა
და თვის ტოლებს დაუძახა;
ყველას ფრთასა უჩვენებდა.
იცინოდა: ,,ხა, ხა! ხა, ხა!''

ამპარტავნად გაიჭიმა,
დაიძახა: ,,კატო, ნინო!
ყველამ აქეთ შემომხედეთ,
როგორ ჩიტივით ვიფრინო!''

ამ დროს ფრთა-ფრთას მან შემოჭკრა,
ჭაერში გაინავარდა,
და რაღაცას დაეჯახა,
ვითომ თავქვე ჩამოვარდა...

და ტირილით დაიძახა:
,,მომეშველეთ, ნუცა, თინა!''
მსწრაფლ საწოლში გადაბრუნდა,
ძირს ბრაგვანი მოადინა...

არ. ფანცულაია.





ძურდი.

ნაუ, ნაუ, ნაუ! — გაისმა სასოფლო სკოლის ზარის წკრიალა ხმა და რამდენიმე წამში სკოლის ვეებერთელა ეზო ჰატარა ქალიშვილებითა ⁄ ბიჭუნებით მოიფინა.

მიდამო გაცოცხლდა, ახმაურდა. აქამდე გამეფებული სიწყნარე სიცოცხლით სავსე ჟივილ-ხივილმა შესცვალა. ყველას იზიდავს გასაფხულის სუფთა და სურნელოვანი ჰაერი. ძხიარულად დახტიან და თამაშობენ ბავშვები, თუმცა ბევრი მათგანი ფეხ-შიშველია.

აი, მაგალითად, ბურთის მოთამაშეთა ჯგუფი.

—არადანი მე!—იძახის ერთი.

— არჩევანი მე!—უპასუხებს მეორე.

— გერასიმა მე.

— მელიტონა მე.

— ,,ზედაურ-ქვედაურობა", ,,ფეხგორებიე", გატანიე!"— ისმის ერთი-მეორეს წინააღმდეგი, არეული ხმები.

ყველანი გარედ არიან. ისვენებენ. არა სჩანან მხოლოდ მეორე განყოფილების მოწაფენი. რად იგვიანებენ? რა მოხდა?

*
* *

როცა გაკვეთილი თავდებოდა, მეორე განყოფილების მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაფე შალიკო ადგა და მასწავლებელს გამოუცხადა, ჯანა დანა დავკარგეო. მასწავლებელი ნიკო ძალიან დააღონა ამ ამბავმა: ეწყინა, რომ კლასში ქურდობა მოხდა. მაშინვე შეუდგა გამოძიებას. გამოკითხვამ დაარწმუნა, რომ დანა ამ გაკვეთილის დროს იყო დაკარგული. რამდენიმეჯერ შეეკითხა კლასს, ხომ არავის გინახავთო, მაგრამ ყველა უარს ამბობდა. ბოლოს გამოუცხადა ბავშვებს, რომ დასასვენებლად გასულიყვნენ.

დიდხანს ფიქრობდა მასწავლებელი ნიკო იმაზე, თუ რა ხერხი ეხმარა ქურდის აღმოსაჩენად. თუ ეს შემთხვევა უყურადღებოდ დავტოვე, წათამამდებიან და უარესსაც ჩაიდენენო, სთქვა მან. ეჭვი აღებული ჰქონდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ შენიშნული ბავშვი ადვილად არ გამოტყდებოდა. ამიტომ საჭირო იყო რაიმე შესაფერი ხერხი.

ბევრი იფიქრა ნიკომ და ბოლოს ასეთი ხერხი გამონახა:

უკანასკნელი გაკვეთილის შემდეგ გამოაცხადა, რომ მოწაფენი ცოტა ხნით დარჩენილიყვნენ.

— აიღეთ „დედა-ენა“ და თითო-თითოდ მოდით ჩემთან! — მიმართა მან კლასს. აიღო ძაფი, ზომავდა თვითეულ წიგნს და ზომას უჯრაში ინახავდა. ასე გაზომა ყველას წიგნი და ბოლოს მტკიცედ სთქვა:

— ვინც დანა მოიპარა, იმის ზომას ხვალამდე სიგრძე მოემატება.

დიდი ნდობა ჰქონდა ნიკოს მოწაფეთა შორის. ტყუილუბრალოდ არც დასჯიდა ვინმეს, არც საყვედურს ეტყოდა. ბევრს უთმენდა შეგირდს, მაგრამ, თუ უკანასკნელი ვერ დააფაფასებდა მის ასეთ მოქცევას, მაშინ-კი აღარ შეიბრალებდა, ღირსეულად დასჯიდა.

*
* *

დაფიქრებული მიდიოდა შინისკენ პატარა ვასო; დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარდი ტრიალებდა მის ჰატარა გულში. მან მოიპარა შალიკოს დანა. ეგონა ადვილად გადარჩებოდა. რას იფიქრებდა, თუ მასწავლებელი ნიკო ეურადღებას მიაქცევდა უბრალო ჯიბის დანის დაკარგვას?

სახლშიაც მოუპარავს ვაშლი, ჩურჩხელა, მაგრამ საქმე ოჯელთვის მშვიდობიანად გათავებულა: ან სულ ვერ გამოუტეხნიათ, ან თუ გამოტეხებოდა, დედა დაემუქრებოდა: თუ მეორეჯერ ჩაგიდენია, იცოდე გცემო. ეს იყო და ეს. ერთხელ დუქანში კამფეტიცკი მოიპარა: ისე აცოცა—ვერავინ დაინახა.

სახლში წათამამებულმა ვასომ თავისი უგვანო ეოფაქცევა სკოლაშიაც გადაიტანა. პირველ განეოფილებაში გამოუცდელი მასწავლებელი შეხვდა და ვერაფერი გავლენა იქონია მასზე; მეორეში-კი უფრო ფრთხილად იყო. ხშირად ესმოდა ამხანაგებისაგან: მასწავლებელი ნიკო ძალიან ჭკვიანი კაცია, ადვილად ვერაფერს გამოაპარებო.

მაგრამ ხომ გაგიგონიათ —,,ჩვეულება რჯულის უმტკიცესიაო.'' მაცდური ძალა დაეუფლა ვასოს და, რადგანაც შალიკოს დანა ძალიან მოეწონა, ვეღარ მოითმინა და მოიპარა. ეგონა ადვილად ჩაივლიდა; მაგრამ საქმე გაძნელდა. მასწავლებელმა დიდი ეურადღება მიაქცია მცირე ქურდობას. ,,ნემსის და აქლემის ქურდი, ორივე ქურდიაო,'' სთქვა მან.

ასეთ ფიქრებში გართული ბრუნდებოდა შინ დაღონებული ვასო. ძალიან ეშინოდა ხვალინდელი დღის. ,,ნეტავი როგორ უნდა მოემატოს სიგრძე ძაფს?'' ეკითხებოდა ის თავის თავს. რა უეოთ, რომ დანა მე მოვიპარე? რა შუაშია აქ ან ძაფი, ან ,,დედა-ენა''! მაგრამ ნიკო ჭკვიანი კაცია; ვინ იცის რას ფიქრობს? ,,დედა-ენა,''' ალბად, იმიტომ აირჩია, რომ იქ მოთავსებულია მოთხრობა ,,ქურდი''. იქაც ხომ ხერხით აღმოაჩინეს ქურდი? და მოაგონდა მას მოთხრობის შემდეგი სიტყვები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

,,მამასახლისმა უცებ დაიყვირა: ,,დახე, დახე, ქურდს ქუდი ეწვისო!'' ერთმა გლეხმა ფიცხლავ ქუდზე ხელი იტაცა. მაშინ ყველამ შეიტყო, რომ ის იყო ქურდი...''

აი მეც ასე დამიჭერს მასწავლებელი ნიკო. აკი ანდაზას ამბობს: ,,ქურდს რომ ეური უგდო, დღეში ასჯერ გატყდებაო.''

მივიდა სკოლაში. მოწყენილობა კიდევ უფრო დაეტყო. საჭმელიც არა სჭამა. როცა დედამ უგუნებობის მიზეზი ჰკითხა, იცრუა: მუცელი მტკივაო.

*
* *

მთელი ღამე შფოთვით გაატარა ვასომ. შიში ხვალინდელ დღისა თან-და-თან იზრდებოდა.

,,რაღა მეშველება, რომ ჩემი ხომა მეტი გამოვიდეს?''— ფიქრობდა ვასო ლოგინში.—,,ხომ ამიკლებენ დაცინვით ამხანაგები! მთელი სკოლა და სოფელი გაიგებს, რომ მე შალიკოს დანა მოვპარე; ყველა ქურდს დამიძახებს. ნეტა რა ეშმაკად მინდოდა ეგ ოხერი დანა? ,,ხომ ვიცოდი—მასწავლებელ ნიკოს არაფერი დაემალებოდა. მან ყველაფერი იცის; რასაც იტყვის—კიდეც ასრულდება. იცის კიდეც, რომ ქურდი მე ვარ, მაგრამ არ მეუბნება, უნდა ჩემი პირით მათქმევინოს. ოჰ, რა საშინელება იქნება! მთელი კლასის წინაშე უნდა გამოხვიდე და სთქვა: შალიკოს დანა მე მოვიპარე, ქურდი ვარო. რაღა იქნება ამაზე უარესი!?

არ შეიძლება ითქვას, რომ ვასოს იმ ღამეს ეძინა. ის უფრო ბურანში იყო, ვინემ ძილში.

კიდეც წაბოდვა რამდენიმეჯერ. ხან ,,არ მომიპარავსო'' წამოიძახებდა, ხან ,,დანა, დანაო'' დაიყვირებდა. დილაზე რომ ადგა, ისეთი ფერი ჰქონდა, თითქოს უცემიათო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა დედამ ჰკითხა—,,რა იყო, შვილო, მთელი ღამე შფოთავდი, გაბოდებდა?''—ვასომ წყენით უპასუხა:

— არაფერიც არ მიბოდავსო!

საუზმე მოუმზადეს, მაგრამ არ სჭამა.

* * *

გაზაფხულის მშვენიერი დილა განუსაზღვრელ სიამოვნებას გვრიდა ადამიანის გულს. მაღალი მთის იქიდან ამოგორებულმა მზემ მოცოცხლებული სხივები მოჰფინა ხოფელს. ფრინველთ დილის ლოცვა ჯერ კიდევ არ გაეთავებინათ. მხარზე თოხ-გადებული გლეხები ეანებისკენ მიეჩქარებოდნენ. გზებიდან მოისმიდა სკოლაში მიმავალ ერმეთა ლაღი სიმღერა და ფეხის ხმა.

ოჰ, რატომ ვასოსაც არ შეუძლია გაერიოს ტოლებში და იმათსავით მხიარულად გასწიოს სკოლისკენ? არა. დღეს სულ სხვა გუნებაზეა ისა. მარტოდ ურჩევნია სიარული, მარტოდ.

მიდის, მაგრამ ფეხები უკანა რჩება. ცალკე შიშით და ცალკე უჭმელობით გული ელევა.

— მოდი სულ არ წავალ დღეს,—გაიფიქრა მან;—მაგრამ უარესია, იტყვიან, შეშინდა და იმიტომ არ მოვიდაო.

— ვასო, მოდიხააარ?!—გადმოსძახა ამ დროს მეზობელმა ამხანაგმა ვასოს.

— ახლა წავიდა, შვილო, ახლა! თუ გაიჩქარებ—დაეწევი,—უპასუხა ვასოს დედამ სახლიდან.

ვასომაც გაიგონა ეს დაძახება, გადავიდა გზიდან და დაიმალა. ამხანაგისაც�-კი შეეშინდა, ქურდობაზე არ დამიწყოს ლაპარაკი.

ზარი დარეკილი იყო. ვასო რომ სკოლაში მივიდა. ცდილობდა მასწავლებელ ნიკოს არსად შეფეთებოდა, მაგრამ—მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საუბედურო ნიკო უფრო ადრე შესულიყო კლასში, ბინა-კი შეუხედავს, ისე დაუქნია თავი და დაჯდა თავის ალაგას.

დღეს უველაფერი სხვანაირად ეჩვენებოდა ვასოს: — საკლასო მაგიდაც-კი, რომელსაც დღეს მწვანე მაუდი ეფარა, შიშის ზარს გვრიდა. წელიწადში მხოლოდ ერთხელ მორთავდნენ ხოლმე ამ მაგიდას ასე და ისიც გამოცდების დროს. ვასო გრძნობდა, რომ მუხლებში თან-და-თან ძალა ეკარგებოდა, გონება ერეოდა, თვალთ ბინდი ეფარებოდა.

მასწავლებელმა კადაშალა მოწაფეთა სია და დაიწყო გვარების ამოკითხვა.

— თან „დედა-ენა" მოიტანეთ, უნდა ხომა შევამოწმო! — სთქვა მან.

ვასოს ჟრუანტელმა დაუარა. რამდენადაც ახლოვდებოდა მისი გვარის ამოკითხვა, იმდენად უფრო იფანტებოდა, ალარ ახსოვდა სად იყო, რას აკეთებდა; ეურები უწიოდა.

— ქურდი, ქურდი, ქურდი! — ჩასძახოდა ვიღაც ეურში.

დადგა საშინელი წამი. მასწავლებელმა ნიკომ ვასოს გვარი ამოიკითხა. მთელ დარბაზში საშარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ორმოციოდე მოწაფის და ერთი მასწავლებლის თვალები ვასოს დააშტერდნენ. მის სახეზე ისეთი შიში ალიბეჭდა, რომ ძალა-უნებურად მიიქცია ეველას ეურადღება.

ვასო ძლივს წამოდგა. კანკალით აიღო „დედა-ენა" და ბარბაცით წავიდა მასწავლებლისაკენ. შორი-ახლო დადგა. მუხლები უკანკალებდა.

— აბა, მოიტა, — შენი ხომაც შევამოწმო, — უთხრა ვასოს ნიკომ, — და თან ისე ჩახედა თვალებში, რომ ვასო შეწუხდა, მასწავლებელს თვალი ვერ გაუსწორა. ჯერ გაფითრდა, მერე გაწითლდა, აირია.

— სთქვი, სთქვი, უკეთესია! .. — გაუელვა ფიქრმა ვასოს. მოიკრიბა ძალა და აკანკალებული ხმით წარმოსთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუღარ ხომავთ, მასწავლებელო! შალიკოს ბიბლიოთეკა მაქვს, მოვიპარე. შეცდი, მაპატიეთ... დანა შინა მაქვს... მუ-თაქაში დავმალე... ხვალ მოვიტან.

წარმოსთქვა ვასომ ეს სიტყვები და თავისუფლად ამოი-სუნთქა. თვალებში სინათლე მოუვიდა. ნიკოს პირდაპირ შეხე-და. ისე იგრძნო თავი, თითქო ქვეით საგსე ტომარა ჰქონდა მოკიდული და ახლა მოიცილაო.

ნიკომ მოჰკიდა მას ხელი და სკამზე დასვა.

— დაჯექი, დაისვენე! ცუდი ფერი გაქვს.

ვასო დაჯდა ⁄ თავი ჩაღუნა. ექვსანი ჩუმად იუვნენ. ამხა-ნაგის უბედურებამ საერთო თანაგრძობა გამოიწვია. დაცინვა არცა-კი გაუფიქრია ვინმეს.

მასწავლებელი ერთხანს იდგა მდუმარედ, უცებ თავი გა-აქნია და ნაღვლიანი ხმით, მაგრამ მტკიცედ მიმართა ბავშვებს:

— ბავშვებო, ვასო შეცდა, მაგრამ მე გამლევთ სიტყვას მის მაგიერ, რომ ეს აღარ დაემართება: ვასო ბუნებით კეთ-ილი და მართალი ბავშვია და არასოდეს არ გახდება ქურ-დი... შენ-კი, ვასო,—მიუბრუნდა ის ვასოს,—წადი, დაჯექი შენ ადგილას, გახსოვდეს დღევანდელი დღე. ამის შემდეგ სხვაც გააფრთხილე; ხომ გამოსცადე, თუ რა ძნელი ეო-ფილა, როცა ადამიანის სინდისს ლაქა დააჩნდება?!.

გიო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭკუის კოლოფი.

(არაკი).

ერთ ქვრივ დედაკაცს ერთი მოსულელო შვილი ჰყავდა, რომელსაც ამხანაგები მეტ სახელად „ჭკუის კოლოფს“ უწოდებდნენ.

ერთხელ ქვრივი დედა ძლიერ ავად შეიქნა. ექიმმა ურჩია, ოთველ დილით თითო ჭიქა თბილი რძე სვიო.

მის ბედზე კეთილი მოზობელიც გამოუჩნდა, რომელიც დილა-ადრიან ადუღებულ ცხელ-ცხელ რძეს უზიდავდა.

ერთ დილით-კი, მოუცლელობის გამო, აუდუღარი მოუტანა.

დედამ უთხრა თავის მოსულელო შვილს:

— შვილო, ხომ ხედავ—გადადებული ავადმყოფი ვწევარ; შენი ვალია, მომიარო, რადგან შენს მეტი პატრონი არა მყავს. აიღე აქანდაზი, მიდი რომელიმე ჩვენ მეზობელთან, ცეცხლი სთხოვე და რძე ამიდუღეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილმა წამოავლო აქანდაზს ხელი და გასწია ცეცხლის მოსატანად.

ერთ მეზობელთან მივიდა—არა ჰქონდა; მეორესთან, მესამესთან, მაგრამ ვერსად იშოვა.

ამ სიარულში გზაზე ერთი მოშლილი ბოქლომი იპოვნა. ისე გაუხარდა, რომ რძეც დააგიწყდა და ცეცხლიც. გაიფიქრა: ამას ბაზარში ჩავიტან და კარგ ფასში გავყიდიო.

ორი-სამი ვერსის მანძილი გაიარა, მივიდა ზეინკალთან და უთხრა:

— ბოქლომს არ იყიდიო?

ზეინკალმა ჩამოართვა, გასინჯა, ნახა, რომ მოშლილი იყო, აიღო და ქუჩაზე გადაისროლა.

სულელი ვერ მიხვდა ზეინკალის საქციელს და შეუდგა ბოქლომის ძებნას. შუადღიდან დაწყობილი საღამომდე ეძება და ძლივს იპოვნა.

ახლა ჰურიც მოშივდა. შემოუღამდა კიდეც.

შემთხვევით ერთ მემარილესთან მივიდა და შეეხვეწა:

— ამ ბოქლომს მოგცემ, და ამაღამ აქ დამაძინე და ჰურიც მაჭამეო. მემარილემ იფიქრა: ,,ეს კარგი უპატრონო ვინმე ვიხელთეო!..''

გახარებულმა უპასუხა:

— ძალიან კარგი, დარჩი ჩემთან. ეგ შენი ბოქლომი შენა გქონდეს, მხოლოდ სვალ რამდენიმე ლიტრა მარილი დამი-ფქვიო.

სულელი დასთანხმდა.

ისე შეუყვარდა ხელ-საფქვავის ტრიალი, რომ მთელი თვე მემარილესთან დარჩა და მარილსა ფქვავდა.

ერთ დღეს ეს მემარილეც ავად შეიქნა. რძის დალევა მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა და სულელს უთხრა: — ცეცხლი გააჩაღე და რძე ადუღეო.

სულელს მხოლოდ ახლა მოაგონდა, რომ დედამ ცეცხლისათვის გამოგზავნა.

დაჭკრა ფეხი, ჩაირბინა თავის სოფელში; სადაც იყო და არ იყო, ცეცხლი იშოვა და დედას მიუტანა, რომ რძე აედუღებინა. მაგრამ რძეს ვინა სჩივის, თვით საბრალო დედაცკი გარდაცვლილიყო!..

ბ. ახოსპირელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძილის დროა.



ილის დროა, ძილის!—ეუბნება დედა.—ჩქარა დალიეთ რძე.

ვალიკო ცბიერი თვალებით რაღაცას უჩურჩულებს ნიკოს და ლიზას.

ეველანი იცინიან:

— კარგი, კარგი!

დედამ იცის, რასაც ჩურჩულებს ვალიკო: მოაგონდა გუშინდელი იმათი სიცელქე. საწოლ ოთახში მიდის; იქ ბნელია; ბავშვებს ვერა სედავს.

უცბად საერთო ხარხარი ისმის მაგიდის ქვეშ.

— აი, თქვე სულელებო, რიგიანი დამალვაც არ იცით!

ბავშვები თითო-თითოთ გამოდიან და მირბიან დერეფანში. იქ მამის ჰალტოს უკან მიმალულები ჩუმად ხითხითებენ და ჩურჩულებენ.

— კიდევ გიპოვნეთ!—უთხრა დედამ:—გეეოფათ, წადით მამასთან.

სამივენი ხმაურობით შეცვივიან მამასთან.

— მამა, ღამე მშვიდობისა!— ეხვევიან, ჰკოცნიან და აწვალებენ.

— ღამე მშვიდობისა, შვილებო, ტკბილად დაიძინეთ.

გადიან ჰირისაბანი მოამზადა. დედა ვალიკოს ტანთა ხდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედა, მინდა გამოცანა გითხრა; მე თვითონ მოვიგონე,—ეური მიგდე: ვინ არის, მიდის ჯ უკან სხვას მიათრევს?

დედამ ვერ გამოიცნო. ვალიკო სმა-მაღლა იცინის და ეუბნება:

— სადგურზეა.

— ჰო, ვიცი, ორთქლ-მავალი!

— რასაკვირველია ის არის!

ვალიკო ჭიხვინებს, იცინის და ეხვევა დედას.

— წყალზე რა დაცურავს?

— ნავი!—ეუბნება ლიზა.

— არა!

— მაშ გემი!

— არა, არა!

— მაშ იხვი!

— არა და არა! ანით და ბანით იწყობა.

— ჯავშნოსანი ხომალდი!—ეკვირის ნიკო; ეგ კი სისულელეა; რადა უთუოდ ჯავსნოსანი და არა იხვი, ან ნავი და სხვა... ხომ სისულელეა, დედა?

ვალიკო არა სცხრება.

— აი კიდევ გამოცანა: ვინ მიჭქრის თავისით?

— აეროპლანი!—ამბობს ნიკო.

— ავტომობილი!—თავმომწონედ სთქვა ვალიკომ.

ამ ებედობაში ვერცხ-კი გაიგო, რომ დედამ ჰირი დაბანა და ტანთ გახადა.

— დედა, ჰირის დაბანა?—უთხრა დედას, როცა საწოლში ჩააწვინა.

— სასაცილო ხარ, ვალიკო!—უთხრეს სიცილით ნიკომ და ლიზამ.

დედამ დახურა საბანი ვალიკოს; თეთრი დათუნაც გვერდით დაუწვინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზამ კურდღელი დაიწვინა გვერდით.

დედამ დაალაგა იმათი ტანისამოსი და გააქრო სანთელი.

ვალიკომ ისევ თავი წამოჭეო.

— დედა, მე რომ გავიზდები, რა ვიქნები?

— რაც გინდა, ჩემო კარგო. ჯერ ადრეა მაგაზე ფიქრი. ჯერ გაიზარდე კეთილი, ჭკვიანი და კარგი.

— ცეცხლის მქრობელი ვიქნები.

— ძალიან კარგი; ახლა-კი ჭკვიანად იწექ და დაიძინე: ძილის დროა!

— დედა,—ნაზად ეუბნება ლიზა,—მოდი გაკოცო.

ლიზა ეხვევა დედას და ჰკოცნის.

— მოიცა, მოიცა, დედა: თვალებზედაც გაკოცო.

— მეცა, მეცა!—ეეცირიან ბიჭები.

— დაიძინეთ, შვილებო: ღმერთმა დაგლოცოთ!

დედა გადის.

ოთახში სიჩუმეა; მხოლოდ ვალიკო ბუტბუტებს.

— ვალიკო, ნუ ბუტბუტებ!—უთხრა ლიზამ;—ხომ იცი—დედას არ უყვარს.

ნიკოს ტკბილად ამთქნარებს.

ღამის სანათი ანთია; ოთახში სასიამოვნო სინათლეა.

დედა და მამა სასადილო ოთახში ჩაისა სვამენ და ლაპარაკობენ.

უცბად მოისმის ვალიკოს ხმა:

— დედა, დედა!

— რა გინდა, შვილო?—ჰკითხავს ის.

ვალიკო ხის დაფიქრებული და ეუბნება:

— დედა, მე გადავიფიქრე: ცეცხლის მქრობელი არ ვიქნები. მაშინ ხომ იქ უნდა დავდგე, და მე-კი შენ ვერ მოგშორდები, ეოველთვის შენთან და მამასთან ვიცხოვრებ. იცი, უკე-

F494

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესია დურგალი ვიეო!—მაშინ შენა და მამას გავიგვიანებთ მაგიდებს და...

— კარგი, შვილო, დაიძინე: მოასწრობ მაგაზე ფიქრს,— სიცილით ეუბნება დედა და ბალიშზე აწვენს.

რამდენიმე წამის შემდეგ ბავშვებს სძინავთ; მხოლოდ დათუნა და კურდღელი იეურებიან თავიანთ შუშის თვალებით.

ელ. ანტონოვსკისა.





გველები.

ცოცდა და გველების სახსენებელიც გაწყდა ჩვენს მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში. ზაფხულში დღე ისე არ გავიდოდა, რომ სოფლად გველი არ გვენახა; ახლა-კი წამლად რომ გვინდოდეს, ვეღარსად ვხე-ლავთ. სად ქრებიან და სად იკარგებიან გველები საზამთროდ? სადა და მიწაში. ჩაძვრებიან ღრმად სოროებში და სძინავთ იქ მთელ ზამთარს გაუნძრევლად და უსმელ-უჭმელად, სანამ არ იგრძნობენ, რომ ქვეყანაზე დათბა-გამოზაფხულდა და შეუ-ძლიათ კვლავ ამოძვრნენ თავიანთ სოროებიდან..

მოისმინეთ ახლა ის ამბავიც, თუ სად და როგორ ჩნდე-ბიან გველები და როგორ ცხოვრობენ ჩვენში და სხვა ქვეუ-ნებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა კარგა დააკვირდით სურათს: ჰატარა მინდორია, მუუდრო და მზიანი; მინდორს გარშემო შემორტყმული აქვს სიმირი ჭალა და მაღალი ბალახი, როგორც ჩვენ ბალ-ვენახებს—ლობე; მინდორზე აქა-იქ ერია გველის კვერცხები, რომლებიდანაც ეს არის გამოდიან (იჩეკებიან) გველის წიწილები. კვერცხებს გველი გაზაფხულზე სდებს; მაშასადამე, ამ წიწილების გამოჩეკის ამბავიც წარსულ გაზაფხულის ამბავია... ასეთ მუუდრო და მოფარებულ ადგილს იმიტომ არჩევს გველი, რომ აქ ადამიანი და სხვა დიდი ცხოველი იშვიათად მოხვდება და კვერცხებიც უზიანოდ გადამირჩებაო... არც მოსტუუდა ჩვენი გველი: გაზაფხულის ცხოველმა მზემ ისე კარგად დააცხუნა, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში კვერცხებში ჩასახული წიწილები გადონიერდნენ, გაამტვრიეს კვერცხის ნაჭუჭი და, რა ისილეს მზის საამური ნათელი, მხიარულად გამოცოცდნენ კვერცხებიდან და იწყეს იქვე ერთი ამბავი და სრიალი...

მაგრამ ყველაზე მეტად უფრო თვით დედალ გველს უხაროდა, რომელიც იქვე ბალახებში იყო აქამომდე შორიახლო მიმალული და მ'ოლოდ ახლა, როცა ნახა, რომ შვილები ეჩეკება, საჩქაროდ ამვრა ხეზე, მოეხვია მის ტოტებს თვის მოქნილ ტანით და კუდით და ენა-გამოგდებულმა სისინით აცნობა შვილებს, რომ მათი დედა აქ არის, რომ მას მათთვის უკანასკნელ საათამდის თავი არ დაუნებებია!.. მაგრამ რის დედა, რის სიხარული: წიწილები გამოჩეკისათანავე აქეთ-იქით გამვრნენ-გამოვრნენ ბალახებში, რომ თავისუფლად დაიწყონ ცხოვრება და ამგვარად სულ ორ-სამ საათში ისე დაცარიელდა დედისაგან მათთვის ამორჩეული საბავშვო, რომ იქ ერთი წიწილაც აღარ დარჩა.

მაგრამ ყველა გველი ასე არა სჩეკს წიწილებსა: ზოგიერთი გველები ჰირდაჰირ ცოცხალ წიწილებს აჩენენ და აი როგორა: ასეთი გველები კვერცხებს არა სდებენ და იმ დრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდის ინახავენ მუცელში, სანამ კვერცხში ჩასახული წიწილები საკვებით არ მომწიფდებიან და არ გამოიჩეკებიან: მაშინ გველი დაჭერის კვერცხებსა და თან, რა თქმა უნდა, ახლად გამოჩეკილი წიწილებიც მოჭუეებიან.

გველი ბევრნაირია ქვეყანაზე: მეცნიერებს სულ უკან სკნელი ათასნაირი გველი ჭეავთ ნახული და აწერილი; ზოგი მათგანი რომ ერთი მტკაველის ოდენაა, არის ისეთი გველებიც, რომ ხუთი და ექვსი საჟენი სიგრძე აქვთ... ჩვენში ძლიერ ეშინიათ გველისა, ბაგრამ უნდა ვსთქვათ სიმართლე, რომ ტეუილად, რადგანაც ჩვენში, თუმცა შხამიანი გველებიც არის, მომეტებული ნაწილი ჩვენებური გველებისა უშხამოა, და ამიტომ არც არაფერი ზიანი შეუძლიათ მიაყენონ ადამიანს. სულ სხვაა ცხელი ქვეყნების გველები: იქ, მართლაც, ბევრი ისეთი ძლიერ შხამიანი გველებია და ისე მრავლად. რომ მართლაც ძლიერ საშიშონი არიან ეოველი სულდგმულისათვის. მაგალითად, დათვლილია, რომ ინდოეთში ეოველ წლივ ოცი ათასი კაცი კვდება გველის ნაკბენისაგან და სხვა ნადირის და ჰირუტევის გაფუჭებას გველებისაგან ხომ სათვალავი არა აქვს!.. ამიტომ არის, რომ იქაური მთავრობა დიდ ფულს აძლევს ეველას, ვინცაკი მოჭკლავს შხამიან გველს და მის თავს მთავრობას წარუდგენს.

ბაგრამ არც უიმისოთა ჭეავთ გველებს ნაკლები მტერი: გარდა ადამიანისა, მათ ათასობით სწეეტენ და სჭამენ მელიები, ძღარბები, ეეავ-ეორნები, ეარეატები და სხვანი.

გველები ცხოვრობენ ზოგნი მიწაზე, ზოგნი შიგ მიწაში, ე. ი. სოროებში; ზოგნი ხეებზე და ზოგნიც წეალში. ჩვენში რომ ზამთარში იციან გველებმა მიწაში ჩაძრომა და იქ ძილი, ცხელ ქვეყნებში, ჰირიქით, ცხელ გვალვიან ზაფხულში იციან მიწაში ჩაძრომა და იქ ძილი, მანამ არ გადივლის გვალვა და სიცხე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გველები იკვებებიან უმთავრესად ცოცხალი ცხოველებით — თაგვებით, ბაყაყებით, კურდღლებით; ზოგიერთნი — ფრინველთ კვერცხებით. შხამიანი გველები შესაჭმელ ცხოველს ჯერ ჭკლავენ კბენით და მერე ჭელავენ ძოლიანად. უშხამო გველები-კი შესაჭმელ ცხოველს ჯერ აღრჩობენ-ჭკლავენ ცხოველის ტანზე და ყელზე მაგრად მოხვევით, მერე მოეშვებიან, გადაასხამენ ნერწყვს და შეუდგებიან მსხვერპლის ყლაპვას ძოლიანად. გველებს საზოგადოდ ისეთი მოქნილი ხერი და ტანი აქვთ, რომ თუმცა თითონ სქელები არ არიან, მათზე ხუთჯერ მეტი სისქის ცხოველი შეუძლიათ ჩაყლაპონ.

საჭმლის საშოვნელად ზოგი გველი ღამით გამოდის, ზოგი — დღისით; შხამიანი გველები-კი უფრო ღამით გამოდიან სანადიროდ. გველებს ხერში კბილები აქვთ, მაგრამ ამ კბილებს ისინი მარტო ნადირის დასაჭერად და საკბენად ხმარობენ და არასოდეს საღეჭად, რის გამოც, როგორც ვთქვით, დაჭერილ ანუ მოკლულ ნადირს ისინი მთელს ჭყლაპავენ. შხამიან გველებს შხამი ზემო კბილების ძირში აქვთ დაგროვილი და თითონ კბილებიც ისე აქვთ გახვრეტილი თავიდან ბოლომდის, რომ როცა უკბენენ ვისმეს და კბილებს მოუჭერენ, ის შხამი იმ ნახვრეტით ნაკბენის სისხლში ჩადის და ჭშხამავს ადამიანს თუ ცხოველს. ზოგიერთი გველის შხამი ისეთი ძლიერია, რომ მისი ერთი ბეწო შერევა ადამიანის თუ ცხოველის სისხლში სამს წამში ჭკლავს ადამიანს თუ ცხოველს და აქამომდე არც წამალია რამე გამოგონილი ამის წინააღმდეგ.

თვეში ერთხელ გველები ტყავს იძრობენ მთელი ტანიდან. ამისათვის ისინი გაძვრებ-გამოძვრებიან სადმე ვიწრო ღობეებში ან ჯაგებში და მთელ ტანზე ტყავი სძვრებათ. კარგად რომ გასინჯოთ ეს ტყავი, ნახავთ, რომ თვალებს სიფრიფანა კანი ჭქონია გადაფარებული და ქუთუთოები-კი სრულიად არა ჭქონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ნამდვილი ამბავიც უნდა გიამბოთ აქ ერთი შხამიანი გველის მოკვლის შესახებ ჩვენში. მკათათვე იყო. ცხელოდა. შვიდი-რვა კაცი და ქალი სოფელ კურდღელაურის (ქალაქ თელავს ახლოა, კახეთში) ვენახში ვიყავით. დაღლილებმა მოვინდომეთ სადმე ხის ქვეშ წამოწოლა და შესვენება. ამოვარჩიეთ ერთი ბლომად მსხმოიარე ატმის ხე, რომლის ქვეშ იმ დროს მშვენიერი ხასხასი (შეურევნელი, ერთნაირი,) მაღალი ბალახი იყო ამოსული. მე საეჭვოდ მივიჩნიე ასეთ ბალახოვან ადგილზე უხიფათოდ წამოწოლა და ხუმრობით დავიძახე: „მოიცადეთ, მოიცადეთ! ჯერ შეულოცავ ამ ადგილს და მერე დასხეიით-მეთქი!“ ვსთქვი ეს თუ არა, დავიწყე იმ ატმის გარშემო სირბილი და თან წინ ჩემს ხელში სატარებელ მოზრდილ ჯოხს ურევდი ბალახს. უეცრად, ეველას განსაცვიფრებლად, მართლაც ბალახი გაინძრა და ეველამ ერთხმად დაიძახა: „გველი, გველიო!“ შევდექი, დავაცქერდი კარგად, სადაც გველის მიკლაკნილ-მოკლაკნილ ცურვისაგან ბალახი ინძრეოდა და ერთი მაგრად დავარტეი ჯოხი იმ ადგილს: დარტყმა და არშინ-ნახევრიანი შხამიანი გველის გამოჩენა ერთი იყო! დავუშინეთ იმ საწყალს ვინ ჯოხი, ვინ ხელად მოგლეჯილი ჭიგო და ასე მოულოდნელად გამოვასალმეთ წუთი სოფელს.

როგორც ხედავთ, ზოგჯერ ხუმრობით შელოცვაც არ ეოფილა ურიგო და უმნიშვნელო! ასე და ამგვარად გადავრჩით იმ დღეს იმ გველს, და ეს ამბავი, რომელიც ამ ოცდა ათი წლის წინად მოხდა, მას აქეთ ისე გვახსოვს ეველა იქ მეოფთა, რომ მის გახსენებაზე დღესაც უნებლიედ ჟრუანტელი დაგვივლის ხოლმე ტანში...

ივ. როსტომაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი

(წარმოდგენილი ნიკოლოზ თოხაძის-მიერ).

’ ვ

თმის საღებავი.

” მ ვ

მ 2”

”



3

”

საქართველოს განმანათლებელის სახელი.

”

”

მდინარე ქუთაისში.

”

ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს სსრ. მეცნ. აკადემიის

ᲬᲔ-2 №-ᲨᲘ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚ ᲖᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲑᲣᲡᲘᲡ ᲐᲚᲡᲜᲐ:

1) ა რ ა გ ვ ი. 2) მცხეთა სატახტო ქალაქი იყო საქართველოსი.

რედაქტორი: **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნაკადული“-ს რედაქციაში

და

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

1) **ტომის თავგადასავალი,**—თხზ. მარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი. . . . . 50 კ.

2) **რას გვიამბობს ოთახი,**—თხზ. ავენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი. . . . . 20 კ.

3) **დასურათებული ასაწყობი ანბანი,**—ფასი. . . 1 მ. 20 კ.

4) **სკრუჯი და მარლეი,**—საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . 25 კ.

5) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები** ჰ. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი . . . . . 30 კ.

6) **ბავშვობა და სიყრმე,**—მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . 60 კ.

7) **ორი მხატვარი,**—თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . 15 კ.

8) **სამშობლო ბუნების სარკე,** დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,—ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.

9) **შობა,** მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 5 კ.

10) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი,** ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა, ფასი . . . . . 5 კ.

11) **დათო,** — ირ. ევდოშვილისა, დიდების მაძიებელი, თარგმ ალ. შანშიაშვილისა, ფასი . . . 5 კ.

12) **მოთხრობები,**—ლაგერლეფისა და სხვა უცხო მწერლებისა . . . . . 5 კ.

13) **იგავ-არაკნი,** — 125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილისა, ფასი. . . . . 75 კ.

14) **ბიძია თომას ქოხი,**— რომანი **ბიჩერ-სტოუსი** ზანგთა განთავისუფლების დროისა, სურათებითა და ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიმიაშვილისა . 1 მ. 25 კ.

25/1489

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

✦ ✦ ✦